



ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო Millennium Challenge Account - Georgia

პრესრელიზი

თბილისი, საქართველო

31 მაისი, 2016

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი იწვევს მასმედიის წარმომადგენლებს, გაეცნონ საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის მიმდინარეობას

2 ივნისს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი აწყობს მედია ტურს საჯარო სკოლებში, სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის დაფინანსებით. მასმედიის დაინტერესებული წარმომადგენლები მოწვეულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ მედიატურში. რეგისტრაციის გასავლელად დაუკავშირდით გიორგი კოპალეიშვილს, ტელ.: 595 29 89 89, ელ. ფოსტა: gkopaleishvili@mcageorgia.ge ა.წ. 1 ივნისს 17:00 საათამდე.

აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის დაფინანსებით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ახორციელებს საქართველოს საჯარო სკოლების სასწავლო გარემოს გაუმჯობესების პროექტს. პროექტის შედეგად, საჯარო სკოლების სასწავლო ბაზის სრული რეაბილიტაცია, საერთო სარგებლობის ობიექტებისა და კომუნიკაციების რეკონსტრუქცია და სკოლების საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა ხორციელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2015 წელს დაიწყო და პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 30-მდე საჯარო სკოლას მოიცავს, ხოლო მომავალი სამი წლის მანძილზე 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება საქართველოს რეგიონებში. პროექტის შედეგად, გაუმჯობესდება სასწავლო გარემო და განათლებისადმი ხელმისაწვდომობა 37 ათასზე მეტი ბენეფიციარისთვის (პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მოიცავს 10 ათასზე მეტ ბენეფიციარს). სარეაბილიტაციო სკოლების შერჩევას ახორციელებს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

2 ივნისს მედია ტურის დროს მასმედიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, ეწვიონ სამ საჯარო სკოლას, გაეცნონ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, შეხვდნენ აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელ გუნდს და მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ.

მედიატურის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და დღის წესრიგს მოგაწვდით რეგისტრაციის გავლისთანავე. მედიატურში მონაწილეობის მიღება შეუძლია მასმედიის ნებისმიერ წარმომადგენლეს. ტური დაიწყება 2 ივნისს 10:00 საათზე თბილისიდან და დასრულდება 16:00 საათზე. მედიატურის მონაწილეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ტრანსპორტირებითა და სადილით.